

ანოტაცია
დოქსალინი (Doxalin)
Doxycycline

**ხსნარი პერორალურად მისაღები,
გამოიყენება ვეტერინარიაში**

შემადგენლობა

1მლ შეიცავს აქტიურ ნივთიერებას: დოქსიციკლინს (ჰიკლატი) 100მგ/მლ

გარეგნული აღწერა: ყვითელი, მოყავისფრო ან ყავისფერი ფერის გამჭვივალე სითხე, დამახასიათებელი სუნით

ფარმაკოლოგიური თვისებები

პრეპარატი დოქსალინი ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბაქტერიული მოქმედების პრეპარატია. ახასიათებს ბაქტერიოსტატიკური მოქმედება გრამდადებით და გრამუარყოფით მიკროორგანიზმებზე, ზოგიერთ უმარტივესებსა და მიკროპლაზმებზე: Escherichia coli, Haemophilus spp., Pasteurella ssp, Salmonella spp., Staphylococcus spp., Streptococcus spp., Clostridium spp., Chlamydia spp., Listeria spp., Leptospira spp., Mycoplasma spp.

პრეპარატის მოქმედების მექანიზმი დაფუძნებულია იმ ფერმენტების აქტივობის დაბრკოლებაზე, რომლებიც იწვევენ რიბოსომული აქცეპტორების მქონე ამინოაციტილ-რნმ-ს კავშირების კატალიზაციას, რაც იწვევს ამინოაციტილსატრანსპორტო რნმ-ს და მატრიცის რნმ-ის ურთიერთმოქმედების ბლოკირებას და მიკრობულ უჯრედში ცილის სინთეზის დარღვევას.

გამოყენების ჩვენებები

გამოიყენება სასოფლო სამეურნეო ფრინველისა და ღორის ბაქტერიული წარმოშობის რესპირატორული და კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს, მათ შორის სალმონელოზის, კოლიბაქტერიოზის, ენტერიტის, ენზოოტიური პნევმონიის, პასტერელოზის, მიკოპლაზმოზისა და დოქსიციკლინისადმი მგრძობიარე მიკროორგანიზმებით გამოწვეული ინფექციების დროს.

უკუჩვენებები

არ შეიძლება პრეპარატის გამოყენება ტეტრაციკლინის მიმართ მგრძობიარე ცხოველებისთვის. არ გამოიყენება თირკმლის უკმარისობის, მაკეობისა და ლაქტაციის დროს, არ გამოიყენება კვერცხმდებელ ქათმებში.

გვერდითი მოვლენები

დოქსალინის გამოყენებისას ცხოველი უნდა მოარიდოთ მზის სხივებს, რადგან ანტიბიოტიკმა შეიძლება გაზარდოს კანის ფოტომგრძობელობა. მკურნალობის გაგრძელების შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას ნაწლავების ალტერაცია.

სამიზნე სახეობა: სასოფლო სამეურნეო ფრინველი, ღორი

გამოყენების წესი და დოზები

პრეპარატი გამოიყენება ფრინველებისა და ღორებისთვის ინდივიდუალურად და ჯგუფურად მკურნალობისთვის, პერორალურად, სასმელ წყალში დამატებით, შემდეგი დოზებით:

ფრინველს: 0,5 – 1 მლ / 1 ლ-ზე, (რაც ექვივალენტია 50-100 მგ დოქსიციკლინის 1 ლ სასმელ წყალზე) მკურნალობის კურსი 3-5 დღე.

ღორს: 1 მლ /10 კგ ც.წ.-ზე (რაც ექვივალენტია 10 მგ დოქსიციკლინის 1 კგ ც.წ.-ზე), დღეში ერთჯერ, 5 დღის განმავლობაში.

სპეციალური გაფრთხილებები

სპეციალური გაფრთხილებები თითოეული სამიზნე სახეობებისთვის: მკურნალობის პერიოდში ცხოველები და ფრინველები მიიღებენ მხოლოდ წყალს პრეპარატის შემცველობით. დოქსალინის სამკურნალო ხსნარი განკუთვნილია 24 სთ-ის განმავლობაში გამოსაყენებლად და შესაბამისად ყოველდღიურად უნდა იყოს მომზადებული.

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები სამიზნე სახეობებში გამოყენებისას: არ არის მითითებული.

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები, რომელიც უნდა იქნას მიღებული პირის მიერ, რომელიც ვეტერინარული პრეპარატით ატარებს მანიპულაციებს სამიზნე სახეობებზე: პრეპარატთან მუშაობისას უნდა დაიცვათ პირადი ჰიგიენის ზოგადი წესები და მიიღოთ უსაფრთხოების ზომები, რომლებიც გათვალისწინებულია წამლებთან მუშაობისას. პრეპარატის კომპონენტების მიმართ ჰიპერმგრძობელობის მქონე პირებმა თავი უნდა აარიდონ პრეპარატთან პირდაპირ კონტაქტს. სამუშაოს დასრულების შემდეგ დაიბანეთ ხელები თბილი წყლით და საპნით. პრეპარატის ცარიელი შეფუთვა არ უნდა იქნას გამოყენებული საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის; ისინი უნდა განადგურდეს საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად.

პრეპარატის კანთან ან თვალის ლორწოვან გარსებთან შემთხვევითი კონტაქტის შემთხვევაში, უნდა ჩამოიბანოთ უხვი წყლის ოდენობით. ალერგიული რეაქციების გამოვლენის შემთხვევაში ან თუ პრეპარატი შემთხვევით მოხვდება ადამიანის ორგანიზმში, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ სამედიცინო დაწესებულებას (თქვენ თან გქონდეთ წამლის გამოყენების ინსტრუქცია ან ეტიკეტი).

ზედოზირება: ზედოზირების შემთხვევაში შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი სიმპტომები: დიარეა, ღებინება, საკვების მიღებლობა, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა. ამ შემთხვევაში უნდა შეწყვიტოთ პრეპარატის გამოყენება და ჩაატაროთ სიმპტომური მკურნალობა.

ურთიერთმოქმედება: აკრძალულია პრეპარატის ერთდროული გამოყენება პენიცილინისა და ცეფალოსპორინის ჯგუფის ანტიბიოტიკებთან, აგრეთვე კალციუმის შემცველ პრეპარატებთან, მისი აქტივობის შესაძლო შემცირების გამო.

მაკეობა და ლაქტაცია: არ უნდა გამოიყენონ პრეპარატი ცხოველების მაკეობისა და ლაქტაციის პერიოდში. პრეპარატის გამოყენება ნებადართულია მოზარდეულში.

დაყოვნების პერიოდი

ხორცის და ხორცპროდუქტების საკვებად გამოიყენება ნებადართულია პრეპარატის ბოლო მიღებიდან: ფრინველის - 6 დღის შემდეგ, ღორის – 10 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები: ინახება, მშრალ, გრილ სინათლისაგან დაცულ ადგილას 0°C-დან 25°C ტემპერატურამდე.

შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი, შეფუთვის გახსნის შემდეგ 28 დღე.

გამოშვების ფორმა: გამოშვების ფორმა: 100მლ პოლიეთილენის ფლაკონში, 1 ლ თეთრი ფერის პოლიეთილენის ბოთლსი და 1 მლ მინის ამპულაში.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: სისტემური გამოყენების ანტიბაქტერიულები ATC vet-code: QJ01AA02 – Doxycycline

შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

მხოლოდ ცხოველების სამკურნალოდ.

გაიცემა ვეტერინარის დანიშნულებით.

მწარმოებელი ქვეყანა: შპს “ბიოტექსი”, საქართველო, თბილისი, იუმამევის ქ#8